



1 ივნისი, 2009 წ.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მონიტორინგის ანგარიში

2009 წლის 23, 24 და 25 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობაში გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მორიგი ტესტური გამოცდა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) განახორციელა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების მონიტორინგი, ორგანიზაციის აკრედიტირებული დამკვირვებლების მეშვეობით. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ორგანიზაცია აცხადებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირებამ მშვიდ გარემოში ჩაიარა და ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის სერიოზულ დარღვევას.

მოსამზადებელი პერიოდი

სერთიფიცირების დანიშნამდე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადახედა „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირების წესის“ შესახებ დებულებას და მასში შეიტანა გარკვეული ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ცესკო აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ახალი თაობა-ახალი ინიციატივა. ცესკო-მ დამკვირვებელ ორგანიზაციებს წარუდგინა დებულების ახალი ვარიანტი და გაითვალისწინა ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შენიშვნები და რეკომენდაციები. გამოვყოფთ, დებულებაში შეტანილ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს:

- სერთიფიცირებაში მონაწილე აპლიკანტთა ასაკი განისაზღვრა 18-დან 65 წლამდე;
- ცვლილებები შევიდა ტესტების კითხვებში, კერძოდ: სხვაგვარად გადანაწილა თითოეული კანონიდან გამოცდაზე წარსადგენი კითხვების რაოდენობა;
- სერთიფიცირების გამსვლელი ქულა განისაზღვრა 75¹ ქულით;
- ქართული ენის არმცოდნე აპლიკანტებისათვის ტესტირების დრო შემცირდა და განისაზღვრა 5 ასტრონომიული საათით;
- სახელმძღვანელოს უკან თან დაერთო ტესტების პასუხები;
- გადაწყდა არასრული საბუთების შემთხვევაში აპლიკანტებისთვის გარკვეული დროის მიცემა საბუთების გასასწორებლად. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი კვლავ არასრულ საბუთებს წარადგენდა, არ მოხდებოდა მისი სერთიფიცირებისთვის რეგისტრაცია.

¹ წინა სერთიფიცირებების დროს გამსვლელი ქულა იყო 70.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

2009 წლის 1 აპრილს, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა # 15/2009 განკარგულება, რომლის თანახმადაც გამოცხადდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება. 27 აპრილიდან დაიწყო სერტიფიკატის მსურველთა საბუთების მიღება, რომელიც გაგრძელდა 2009 წლის 8 მაისის ჩათვლით. საბუთების მიღება მიმდინარეობდა როგორც ცენტრალურ, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა სულ 2302 აპლიკანტის განაცხადი, რომელთაგან 851 განაცხადი შევიდა თბილისში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო 1451 განაცხადი - საოლქო საარჩევნო კომისიებში, საქართველოს მასშტაბით.

მოსამზადებელ პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა 4 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას. ესენია:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED;
2. ახალი თაობა - ახალი ინიციატივა - nGnI;
3. მრავალეროვანი საქართველო;
4. სამოქალაქო განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაბეჭდა სულ 2599 სახელმძღვანელო.

მოსამზადებელ პერიოდში, კერძოდ, 2009 წლის 11 მაისის სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ # 23/2009 განკარგულებით დაამტკიცა 5 კაციანი საპრეტენზიო კომისია, რომელიც დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: დავით დოიჯაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), კოტე კანდელაკი, რამაზ აფციაური, ზაურ ხალილოვი და ლაშა ჯუღელი.

სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობა

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ტესტური გამოცდები მიმდინარეობდა 3 დღის განმავლობაში (23,24,25 მაისი, 2009), დღეში ორჯერ 9:00 და 16:00 საათებზე. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ 10 აკრედიტირებული დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდა სერტიფიცირების მიმდინარეობის პროცესს.

დამკვირვებელთა მონაცემებით გამოსაცდელთა რეგისტრაცია წარიმართა დადგენილი წესით და ადგილი არ ჰქონია დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურების რაიმე სახის დარღვევას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამდივნოს თანამშრომლებს საკმაოდ კარგად ჰქონდათ გადანაწილებული თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები. დადგენილი წესით წარიმართა გამოსაცდელთა მიერ ტესტების სხვადასხვა ვარიანტის მიღებისა და ცესკო-ს თანამშრომელთა მიერ გამოსაცდელთა შესაბამისად (წინასწარ განსაზღვრული ნუმერაციის მიხედვით) განთავსების პროცესი.

მსგავსად წინა სერტიფიცირებებისა საგამოცდო კითხვების შემთხვევითი შერჩევის გზით შერჩევა და ამობეჭდვა მოხდა საგამოცდო დარბაზში, გამოცდის დაწყების წინ.

გამოცდის დაწყების შემდეგ, მუშაობის პროცესი მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. პროცესს აკვირდებოდნენ როგორც ცესკო-ს სამდივნოს თანამშრომლები, ასევე აკრედიტირებული დამკვირვებლები. გამოცდის მსვლელობისას რამოდენიმეჯერ დაფიქსირდა გადაწერისა და კარნახის

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

(გამოსაცდელებს შორის) მცდელობა, რომელიც იმთავითვე აღმოიფხვრა. გამოსაცდელები რომლებიც ცდილობდნენ პასუხების გადაწერას, დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნენ გამოცდიდან. სულ სერთიფიცირების მიმდინარეობისას დისკვალიფიცირებული იქნა 8 გამოსაცდელი.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები გამოცდების დასრულების შემდგომ დაესწრნენ ნაშრომების შენახვისა და დალუქვის პროცესს. ნაშრომები ვარიანტების მიხედვით მოთავსდა ცალ-ცალკე კონვერტებში, შემდეგ სპეციალურ პოლიეთილენის პარკში და დაილუქა. დალუქული ყუთები დამოწმდა ხელმოწერებით (როგორც ცესკო-ს სამდივნოს წევრების, ასევე დამკვირვებლების მიერ). დამოწმებული და ხელმოწერილი ყუთები გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესამოწმებლად.

ორგანიზაციის დამკვირვებლები არ დასწრებიან ცესკო-ში გამოსაცდელთა პასუხების სკანირებისა და მათი კომპიუტერში გადაყვანის პროცესს, ამიტომ „სამართლიანი არჩევნები“ თავს შეიკავებს ტესტირების ამ ეტაპის შეფასებისგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2302 აპლიკანტისგან სერთიფიცირების გამოცდებზე გამოცხადდა სულ 1583 გამოსაცდელი (არ გამოცხადდა 719 აპლიკანტი), რომელთაგან სერთიფიცირების მისაღებად საჭირო რაოდენობის ქულები (100 კითხვიდან 75 და მეტი სწორი პასუხი) დააგროვა 905 აპლიკანტმა, ხოლო გამოცდა ვერ ჩააბარა 670 აპლიკანტმა. საპრეტენზიო კომისიაში შევიდა სულ 21 აპლიკანტის განაცხადი, რომელთაგან არცერთი არ დაკმაყოფილებულა. „სამართლიანი არჩევნები“ ასევე არ დასწრებია საპრეტენზიო კომისიის მიერ აპლიკანტთა განაცხადების განხილვის პროცესს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიცირება საკმაოდ ორგანიზებულად წარიმართა. აღსანიშნავია, მხოლოდ რამოდენიმე გარემოება, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მომდევნო სერთიფიცირებების დროს. კერძოდ:

- ტესტების სახელმძღვანელოში დაფიქსირდა გარკვეული სახის ხარვეზები (მაგ: სახელმძღვანელო არასათანადოდ იყო აკინძული), რაც დაბნეულობას იწვევდა გამოსაცდელებში გამოცდის მსვლელობის დროს;
- სასურველი იქნებოდა საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირება, სერთიფიცირების ჩატარებასთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მოსამზადებელ პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან, სერთიფიცირების დებულების ცვლილებებთან დაკავშირებით და გაითვალისწინა ყველა ის რეკომენდაცია თუ შენიშვნა, რაც დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა მიაწოდეს საარჩევნო ადმინისტრაციას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge